საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება:**

სამინისტროს სისტემის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ჩატარდა **44** დასახელების სასწავლო თუ ტრენინგ კურსი და გადამზადდა **1,141** მონაწილე.

**ახალი კადრების შერჩევის ხელშეწყობა პროფესიული ტესტირებების ორგანიზების გზით ფინანსთა სამინისტროს სისტემისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის:**

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტების სხვადასხვა ვაკანტურ პოზიციაზე და აკადემიის სასწავლო კურსზე შესარჩევ კონკურსზე პროფესიული მიმართულების ტესტირება, ტესტირება ზოგადი უნარებში და ინგლისური ენის ტესტირება/გასაუბრება ჩაუტარდათ კანდიდატებს (სულ **263 კანდიდატი, 9 ტესტირება).**
- აჭარის ავ/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და საავტომობილო გზების დეპარტამენტის აპლიკანტებს სხვადასხვა ვაკანტურ პოზიციაზე ჩაუტარდა პროფესიული მიმართულების ტესტირება (სულ **180 კანდიდატი, 7 ტესტირება**).

**ტრენინგების ორგანიზება დაინტერესებული პირებისთვის (მათ შორის, ფიზიკური პირებისთვის, კერძო სექტორისა და სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით:**

**რეფორმის ფარგლებში:**

სახელმწიფო ფინანსების მართვისა და საჯარო სექტორში აღრიცხვის რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად **IPSAS** აღრიცხვა/ანგარიშგების საერთაშორისო სტანდატრების საბიუჯეტო ორგანიზაციებში დანერგვის მიზნით საჯარო დაწესებულებების ფინანსური განყოფილების თანამშრომლებს უტარდებათ სწავლო და ტრენინგკურსები, ამ ეტაპისთვის გადამზადდა **- 423** მონაწილე.

2020-21 წლებში სკოლებსა და რესურსცენტრებში განხორციუელებული რეფორმის ფარგლებში გამოვლინდა ბუღალტრების ახალი საჭიროებები და შეიქმნა სპეციალიზებული პროგრამები, კერძოდ: „სახელმწიფო შესყიდვები საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საგადასახადო კანონმდებლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ინვენტარიზაციის ჩატარების და ქონების ჩამოწერის პროცედურები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის“. გადამზადდა - **2 928** მონაწილე.

**კერძო სექტორისა და სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების** წარმომადგენლებისთვის, ასევე ფიზიკური პირებისთვის განხორციელდა **60** დასახელების სამუშაო შეხვედრა, საჯარო ლექცია სასწავლო თუ ტრენინგ კურსი, და გადამზადდა **3,541** მონაწილე.

<u>საერთაშორისო და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და სასწავლო კურსების განხორციელების მიზნით:</u>

- გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ტარდება საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთათვის ტრენინგკურსი: გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება, როგორც კარგი ბიუჯეტირების პოლიტიკა" ამ ეტაპისთვის გადამზადდა 20 ჯგუფი, 385 მონაწილე. აგრეთვე, პროექტის მდგრადობისთვის და რეგიონებში აღნიშნული კურსის სამომავლო გავრცელებისთვის შერჩეული კანდიდატებისთვის (24 მონაწილე) ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი, გადაეცათ სასწავლო მასალები და პრეზენტაციები და საერთაშორისო მიმართულებით ჩატარდა 4 პროექტი 54 მონაწილისთვის. სტუდენტური პროექტების ფარგლებში გადამზადდა 58 მონაწილე.
- გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შემუშავდა ონლაინ კურსი **„გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება",** რომელიც განთავსდა სპეციალურად ამ პროექტის ფარგლებში შექმნილ ონლაინ პლატფორმაზე.
- სტუდენტური პროექტების ფარგლებში საჯარო ლექციებს დაესწრო 102 მსმენელი.

*დასახული საბოლოო შედეგები:*

1. *ფინანსთა სამინისტროს სისტემა უზრუნველყოფილია სათანადოდ მომზადებული/გადამზადებული კადრებით;*
2. *ფინანსთა სამინისტროს სისტემა, ასევე, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან სწორად შერჩეული კადრებით;*
3. *ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატებით დანერგვის მიზნით, საფინანსო სექტორში დასაქმებულები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი სასწავლო პროგრამებით / ტრენინგებით;*
4. *საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული მომზადება/გადამზადების და სხვა სასწავლო პროექტებით;*
5. *საჯარო ფინანსების მართვის საკითხების სწავლების მიმართულებით, გათვალისწინებულია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და ცოდნა, საქართველოში ხორციელდება საერთაშორისო ტრენინგები, საქართველო ყალიბდება რეგიონალურ ცენტრად საფინანსო მიმართულების სწავლების განხორციელების კუთხით.*

*მიღწეული საბოლოო შედეგი:*

1. *ფინანსთა სამინისტროს სისტემა უზრუნველყოფილია სათანადოდ მომზადებული/გადამზადებული კადრებით;*
2. *ფინანსთა სამინისტროს სისტემა, ასევე, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან სწორად შერჩეული კადრებით;*
3. *ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატებით დანერგვის მიზნით, საფინანსო სექტორში დასაქმებულები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი სასწავლო პროგრამებით / ტრენინგებით;*
4. *საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული მომზადება/გადამზადების და სხვა სასწავლო პროექტებით;*
5. *საჯარო ფინანსების მართვის საკითხების სწავლების მიმართულებით, გათვალისწინებულია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და ცოდნა, საქართველოში ხორციელდება საერთაშორისო ტრენინგები, საქართველო ყალიბდება რეგიონალურ ცენტრად საფინანსო მიმართულების სწავლების განხორციელების კუთხით.*

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა

   საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გადამზადდა 1857 თანამშრომელი

   მიზნობრივი მაჩვენებელი - ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობის 5%-იანი ზრდა წინა წლის ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით.

   ფაქტიური შედეგი - 2022 წელს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გადამზადდა 1141 თანამშრომელი; გადამზადებული კადრების რაოდენობა <u>შემცირდა 38.5%-ით. გადამზადებულების რაოდენობის შემცირება გამოიწვია პოსტ პანდემიურმა პირობებმა, კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს აპარატი საოფისე სამუშაო პირობებს დაუბრუნდა 2022 წლის I კვარტალში. აღნიშნულ პერიოდში აკადემიის შენობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები.</u>

2. **სამინისტროს სისტემაში და სხვა ორგანიზაციებში განხორციელებული ტესტირებების რაოდენობა**

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს აკადემიის ორგანიზებით განხორციელდა 40 ტესტირება 1333 აპლიკანტისათვის.

მიზნობრივი მაჩვენებელი - სამინისტროს სისტემაში და სხვა ორგანიზაციებში განხორციელებული ტესტირებების რაოდენობის 2%-იანი ზრდა წინა წლის ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით

ფაქტიური შედეგი - 2022 წელს აკადემიის ორგანიზებით განხორციელდა 16 ტესტირება 443 აპლიკანტისათვის. <u>ტესტირებების რაოდება შემცირდა 60 %ით. ტესტირებების რაოდენობის შემცირება გამოწვეულია ერთის მხრივ აკადემიის შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებით, ასევე ტესტირების განხორციელების მიმართულების ფინანსთა სამინისტროდან და მასში შემავალი სისტემიდან არ დაფიქსირებულა ტესტირებაზე მოთხოვნა.</u>

3. **ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების ფარგლებში გადამზადებული პირების რაოდენობა**

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს აკადემიაში გადამზადდა 3277 დაინტერესებული ადამიანი.

მიზნობრივი მაჩვენებელი - გადამზადებული პირების რაოდენობის 2%-იანი ზრდა წინა წლის ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით.

ფაქტიური შედეგი - 2022 წელს აკადემიაში გადამზადდა 3351 დაინტერესებული ადამიანი;

რეფორმის გადამზადებული კადრების რაოდენობა გაიზარდა 2.26%-ით.

4. **გადამზადებული დაინტერესებული პირების (მათ შორის, ფიზიკური პირები, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები) რაოდენობა**

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს აკადემიაში გადამზადდა 4295 დაინტერესებული პირი.

მიზნობრივი მაჩვენებელი - გადამზადებული პირების რაოდენობის 2%-იანი ზრდა წინა წლის ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით.

ფაქტიური შედეგი - 2022 წელს აკადემიაში გადამზადდა 3541 დაინტერესებული ადამიანი; საჯარო და კერძო სექტორისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა შემცირდა 17,6 %-ით.

946 სასაყიდლიანი იყო გეგმაში- გადამზდდა - 1657 ( მათ შორის მერიის ტენდერით 406)

3432 უსასყიდლო პროექტი, მათ შორის 3280 იყო ღია ლექციები გეგმაში, გადამზადდა 1884.

2022 წლის პერიოდში გაზრდილი იყო მოთხოვნა პირისპირ სატრენინგო მომსახურებაზე. გამომდინარე აკადემიის შენობის სარემონტო სამუშაოები, რის გამოც ვერ მოხერხდა პირისპირი ტრენინგების განხორციელება.

5. **საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების, ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტებში მონაწილეთა რაოდენობა**

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს აკადემიაში საერთაშორისო/უცხოური ინსტიტუციებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გადამზადდა 528 პირი.

მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების, ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტებში მონაწილეთა რაოდენობის 2%-იანი ზრდა წინა წლის ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით.

ფაქტიური შედეგი - 2022 წელს აკადემიაში საერთაშორისო/უცხოური ინსტიტუციებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გადამზადდა 637 პირი.

გადამზადებულ პირთა რაოდენობა გაიზარდა 20.6 %-ით. აღნიშნული შემცირება გამოწვეულია გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების სატრენინგო კომპონენტის დასრულებით.